№ 4. **სახალხო გაზეთი** № 4.

სამშაბათი, 11 მაისი 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
**სახალხო გაზეთი**
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
**სურათებიანი დამატება**

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.
**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**
**დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ამის საათის შემდეგ მეტი ეღირება.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****
კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.
„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.
წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ხელმწიფემ უმაღლესად ინება ვლადივოსტოკში გარდაცვალებულ აღმოსავლეთ ციმბირის მეცხრე მსროლელთა დივიზიის ბლაღოჩინის

**სოლომონ პავლეს ძე იმერლიშვილის**

გვამი ვლადივოსტოკიდან მოასვენონ ტფილისში რასაც აუწყებენ განსვენებულის მეუღლე **მაგდალინა მათეს ასული** და შვილები **ალექსანდრე და ეკატერინე იმერლიშვილები**. დღეს დილის 10 საათზე მიცვალებულის გვამს ტფილისის სადგურიდან გადმოასვენებენ ავლაბრის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში, სადაც გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, დაკრძალვა იქვე, ეკლესიის ეზოში. (1—105—1)

**მიხეილ დავითის ძე, ვალიკო მიხეილის ძე და ვერა აფრასიონის ასული მაჭავარიანები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას მარად დაუვიწყარი— პირველი მეუღლისა, მეორე—დედის, ხოლო მესამე—დედამთილის

**პიდასი გიორგის ასულის მაჭავარიანისას.**

გამოსვენება პარასკევს 14 მაისს დილის 10 საათზე. არგვეთის წმ. გიორგის ეკლესიაზე, საჩხერის სადგურიდან 6 ვერსზე. (1—ფ.—1)

**ივანე დავითის ძე მაღალაშვილი, დარია ივანეს ასული მაღალაშვილისა და კოსტა და ნესტორ მაღალაშვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—მეუღლის, მეორე—მულის, მესამენი—მამიდის

**სოფიო მაღალაშვილისას.**

დაკრძალვა სოფ. ხურვალეთში, 13 მაისს. (1—105—1)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

**წინამძღოლი**

აუწყებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ რომ **14 მაისს დილის 12 საათზე** დეპუტატთა საკრებულოს ბინაზე დანიშნულია

**გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება**

განსახილველია მოხსენება **კახეთის რკინის გზის** შესახებ. (3—ნ.—1)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექტ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
**გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარ. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ვ. ა** ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—173)

**ექიმი ვ. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბელოვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—88)

**ექიმი** ბავშვებისა ქუთაისში **ბადრიძე**
1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—ნ.—15

**იქნება ნაზეთ მეოთხე გვერდზე**
(1—ხალ.—1)

**15 მაისამდე** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის კანტორაში მიიღება იმ პირთა განცხადებები, რომელთაც სურთ ქართულ სცენაზედ მუშაობა. ამავე თვის ოც რიცხვებში გაიმართება **გამოსაცდელი წარმოდგენები**.
ამ წარმოდგენებზე დაესწრებიან მხოლოდ გამგეობის წევრები, მსახიობი და პრესსის წარმომადგენელნი.
(5—5)
**ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა.**

**ვოგზლის კერძო სამკურნალო**
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. ვ. ფელდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი
მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით

**სამკურნალო**
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
**ბოგუოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.
**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.
**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.
**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.
**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.
**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.
**ლიმონი**—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—11½ ს.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—ნ.—44)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—38

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—431)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—97)

**ექიმი** ბაბ. ი. **გოკიელოვი** ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულიონით წამლობა ჰლექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (75—კვ.—66)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—120)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—179)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—60)

**ექიმი დ. ახვლედიანი** იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე ელისაბედის ქ. N 92. წლ.

**შპალერი**
8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რული
**ძმ. ტარნოპოლების**
საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.
განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.
**ფასები საფაბრიკოა.**
ნიმუშები უფასოდ. (50—1046—15)

## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ნოვ. ვრემია"-ს ძვირად წამოსცდება ხოლმე სწორი აზრი, მაგრამ შავი-ქვის გადასატანი ტარიფი ქიათურის რკინის გზაზე იმდენად უსამართლოა, რომ მან თვით „ნოვოე ვრემია"ც აამეტყველა და ხმა ამოაღებინა.

კავკასიელი კორესპონდენტი ამ გაზეთისა ვიღაც „რუსსკი კავკაზეცი" ქიათურის შავი-ქვის გადასატან ტარიფსა და ბრაზილიისა და ინდოეთის ტარიფს ერთმანერთს ადარებს და იმ დასკვნამდის მიდის, რომ

კავკასიაში გადატანა შავი-ქვისა 161 ვერსის მანძილზე ჯდება—8 მ. 89 კაპ., ინდოეთში—741 ვერს. მანძილზე—7 მ. 35 კ., ხოლო ბრაზილიაში—526 ვერ. მანძილზე—4 მ. 59 კ.

თუმცა ბ. „რუსსკი კავკაზეცს ქიათურის მრეწველობის დაცემის ასახსნელად სხვა მიზეზებიც მოჰყავს, მაგრამ უმთავრეს ბოროტებას ტარიფის სიდიდეში ჰხედავს.—წერილის ბოლოში კი ისეთ შემდეგ სიტყვებს ამბობს, რომელიც ასე უცნაურად გვეჩვენება „ნოვოე ვრემია"-ს ფურცლებზე.

მთავრობას მხოლოდ მაშინ შეუძლია უშველოს საქმეს, თუ ის ყურს ათხოვებს და დაუჯერებს ადგილობრივ საზოგადოების წარმომადგენელთა ხმას, იმ საზოგადოების, რომელიც ახლოს სდგას ადგილობრივ მრეწველობასთან!

## სახელმწიფო სათათბირო
(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**8 მაისის სხდომა.**

თავმჯდომარეობდა თავ. ვოლკონსკი. სათათბირომ განაგრძო დასავლეთ გუბერნიებში ერობის შემოღების კანონ-პროექტის განხილვა. **სოკოლოვმა მეორემ** განაცხადა, რომ ნამდვილ რუსთა ერობებშიაც წოდებათა განხეთქილება მეტად თვალსაჩინო იყო, რადგან ამ წოდებათა ცალ-ცალკე კურიები არსებობდა. ორატორის აზრით, საჭირო არაა კურიების შემოღება: პროექტის მიხედვით ერობაში მსხვილი მემამულენი იქნებიან გაბატონებულნი და არა გლეხები. შესაძლებელია გლეხები შეუკავშირდნენ პოლონელებს მსხვილ მემამულეებთან საბრძოლველად და არსებული განხეთქილება გლეხთა და მემამულეთა შორის უფრო გაღრმავდებაო.

**ბულატმა** სთქვა, კანონ-პროექტი მსხვილ მემამულეთა ინტერესებს იცავს და არა გლეხობის ინტერესებსა, მაგრამ კანონ პროექტი მსხვილ მემამულეთაც სრულის ნდობით არ ექცევა და გუბერნატორებს სრულს უფლებას ანიჭებს ამ მემამულეთა საარჩევნო უფლებაც შეზღუდოსო; ორატორმა განაცხადა, ვერ მივცემ ხმას მაგ კანონ-პროექტს, რადგან იმაში არაფერი არაა ერობისა. კანონ-პროექტი უფლებასართმევს სოფლის მეურნეთ და ერობას ადმინისტრაციის უქვემდებარებსო. (ტაში მარცხნივ).

**გლებოვ მეორემ** მხარი დაუჭირა კომისიის მოხსენებას, სავსებით დაეთანხმა პროექტის მთავარ პრინციპებს და ბოლოს სთქვა, რახან ერობაში ხმოსანთა და მოსამსახურეთა უმრავლესობა რუსებისა იქნება, საჭირო აღარ არის, რომ მეტად შეზღუდულ იქნას არა რუს ხმოსანთა უფლებანიო.

**ლადო მირსკიმ** ცენტრს მიმართა და უთხრა, თუ კომისიის მიერ მოწონებული პროექტი მიიღეთ, სრულიად მოსპობთ დასავლეთის გუბერნიებში რუსთა [ხსვილ და საშუალო მიწად მფლობელობასაო. ორატორმა დაიცვა ნაციონალისტების შესწორებანი, და გზა და გზა შეეხო ოპოზიციას და რუსეთის ინტელიგენციას, რომელთა შესახებაც სთქვა, ისინი მოწიწებით ქედს იხრიან ინოროდცების ყველა თავხედურ მოთხოვნილების წინაშეო.

**როდიჩევმა** კრიტიკულად შეხედა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვას. ეს სიტყვა ნაკ-რნახევია, ერთის მხრივ შურით, რომელიც შეერთებულია პოლონეთის კულტურისადმი პატივისცემით, მეორეს მხრივ რუსის ხალხისა და მის კულტურის სიძულვილით. როდიჩევმა სთქვა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პოლონეთის კულტურას ებრძვის, მაგრამ ის საზოგადოთ კულტურის სრულ განადგურებას არ იუკადრისებდაო.

(ცოტა ხნით შესწყდა სხდომა. სხდომის განახლების შემდეგ თავმჯდომარის ადგილი გუჩკოვმა დაიჭირა).

**როდიჩევმა** კვლავ განაგრძო თავის სიტყვა. ერთს საათს ილაპარაკა, გაარჩია 1890 წლის საერობო დებულების ნაკლულევანებანი. ეს დებულება შიდა რუსეთის ერობასაც ჰბორკავს და სასურველი არაა, რომ სხვა ადგილებშიც ასეთი ერობა იქნას შემოღებულიო. ახალი პროექტი პოლონელებს ერთ უპი-... რუსი მემამულენი კი მცირე რიცხვის გამო მემკვიდრეობით შევლენ ერობაში.

**ბობრინსკი მეორემ** ერთ საათს ილაპარაკა და სთქვა, რომ დასავლეთის გუბერნიები რუსების მიწაწყალია, მხოლოდ ებრაელები და პოლონელები არიან ჩასახლებულნიო. ამ ორატორმაც ნაციონალისტების შესწორება დაიცვა, ცენტრის პროექტი დაიწუნა და ცენტრს ამ სიტყვებით მიმართა: „ნუ ღუპავთ დასავლეთ გუბერნიების რუსობას, მიეცით მათ ნამდვილი რუსული ერობაო". **მარკოვ მეორემ** განაცხადა, პოლიტიკა არ უნდა გამოიდევნოს ერობიდან, რადგან პოლიტიკა ცხოვრების ხელმძღვანელია, რუსულ ერობაში რუსის ხალხის სასარგებლო პოლიტიკა უნდა იყოს გამეფებულიო". ებრაელების ერობაში შეშვებაში ყოვლად შეუძლებელია, პოლონელების მიმართ კი ასევე ვერ მოვიქცევით, რადგან პოლონელები ქრისტიანები არიან და თავიანთი სახელმწიფოც ჰქონდათო. **დიმშამ** დიდხანს ილაპარაკა და შეეხო ეროვნებისა და სახელმწიფო ცნებებს. თანამედროვე სახელმწიფო ეროვნებათაგან შესდგება, მისი არსებობა შემადგენელ ნაწილთა კეთილდღეობაზეა დამოკიდებული და ამიტომ ერის უფლების შეზღუდვა სახელმწიფოსთვისაც საზარალოაო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტყუილადა ლაპარაკობს პოლონელებისადმი სიყვარულზე. ამ პროექტის დამცველს უფლება არა აქვს სიყვარულზე ილაპარაკოსო. საღი ეროვნული ეგოიზმი სხვის დაჩაგვრას კი არა გულისხმობს, არამედ მოწადინებულია, რომ დაპყრობილნი შეიერთოს და შეითანხმოს. ერთად ერთი სასურველი გზა ის არის, ორატორის აზრით, რომ სრული თანასწორ უფლებიანობა იყოს აღიარებული. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ასეთი პროექტით მხარი აუქცია ისტორიასაც, რომელიც შესაფერ მსჯავრს დასდებს მას

ასეთ პოლიტიკურ შეუსაბამობის ქადაგებისათვის.

სხდომა შესწყდა. შემდეგი სხდომა დაინიშნა 10 მაისისათვის.

# დეპეშები

პეტერბ. ტელეგრაფთა სააგენტოსაგან

8—9 მაისი.

## ალბანეთის მოძრაობა

**სალონიკი.** პრიზრენთან თავი მოიყარა 7000 მეტმა ალბანელმა. დრენიცასთან შეტაკება ჯერ არ მომხდარა. ჯარი სამი მხრიდან გარს ერტყმის, მაგრამ ჯერ მთებში ვერ შესულა. ოსმალეთის საიერიშო რაზმში 30 ბატალიონია სამთო ზარბაზნებითა და ტყვიის მტყორცნელებით. აფიცრებს ჯარის-კაცების ტანისამოსი აცვიათ, რადგან ეშინიანთ რომ ბრძოლის დროს ბევრი აფიცერი არ იქნას მოკლული. დიაკოვოდან დიდ ძალი ალბანელი წავიდა, რადგან სხვა და სხვა ტომის ხალხს ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ. პერშოვაში დააპატიმრეს ვინმე ხოჯა, რომელსაც აღმოაჩნდა მიწერ-მოწერა მორაველ მეამბოხეებთან. დააპატიმრეს აგრეთვე ვაჭარი, რომელიც სურსათს აზარებდა მეამბოხე ალბანელებს. ალბანეთში მივიდა რვა ბატალიონი ჯარი კასტუმანის ვილაეთიდან. სტამბოლიდან და ადრინოპოლიდან საგანგებო მატარებლით ყოველ დღე მიდის ჯარი, ცხენები და სამხედრო სურსათი. პრიზრენსა და პრიშტინში გაიმართა მიტინგები კრიტეს საკითხის შესახებ. მიტინგს ოფიციალური ხასიათი ჰქონდა. რადგან ალბანელები ნაკლებად დაესწრნენ. პრიშტინში ალბანელებმა არ მოუცადეს მიტინგის გათავებას და წავიდნენ. ოსმალეთის მთავარ სარდალმა და სამხედრო მინისტრმა მახმუდ-შევკეთ-ფაშამ პრიშტინში შეჰკრიბა ალბანელი ნოტაბლები და სთხოვა ჩააგონეთ ხალხს იარაღი დაჰყაროსო, მიტროვიცაშიც ასეთივე დარიგება მისცა. ჯარის მიტროვიცა იქნება. იქვე იკრიბება ოსმალეთის მთავარი ძალა.

**სალონიკი.** 9 მაისს მთავრობის ჯარმა დაიწყო იერიშის მიტანა დრენიცაზე ლიპლიანის, პრიშტის, მიტროვიცის და პეტრულის მხრიდან. აჯანყებულებმა უმთავრესად მიტროვიცაში მოიყარეს თავი. ნათლად ემჩნევა, რომ ალბანელები ჯარის მიუვალ მთებში შეტყუება სურთ. ჩერნოლევის შეტაკების შემდეგ ალბანელებს მოეშველნენ რაზმები ლიუმიდან, პოდრიმიდან და დიბრიდან. ჯარს შესამჩნევ ძალასთან მოუხდება ბრძოლა. ეტყობა რომ ალბანეთის მოძრაობისთვის მეტად შესამჩნევი მომენტია მოახლოვებული. გუშინ ფერიზოვიჩიდან ლიპლიანში ორი ბატალიონი გაიგზავნა. დღეს პრიზრენისკენ გაიგზავნა ხუთი ბატალიონი, რომ მეამბოხეებს ლიუმცემისკენ, პოდრიმისკენ და დრენიცისკენ გზა გადაუღობონ. ფერიზოვიჩში რჩება რვა სარეზერვო ბატალიონი. ფერიზოვიჩის ახლოს მცხოვრებლებს ჯარმა უბრძოლველად ჩამოართვა იარაღი. იარაღი ჩამოართვა აგრეთვე კაჩანიკის ოლქში. სულ წაართვეს 500 თოფი. ფერიზოვიჩში მოვიდა სამხედრო მინისტრი.

## კრიტეს საკითხი.

**სტამბოლი.** ოსმალეთის ესკადრა ოთხი ჯავშნიან გემით, ორ კრეისერით, სამ ნალმოსანით, ორ ბარგის საზიდ გემით და 1700 ჯარისკაცით ზღვაში გავიდა. ესკადრას უფროსობს ინგლისელი ადმირალი ვილიამსი. ესკადრა დადგება კუნძულ ტენედასის ახლოს და ოსმალეთის მთავრობის განკარგულების მოლოდინში იქნება.

**ბერლინი.** „ფოსიშე ცაიტ.“ ათინიდან ატყობინებენ, რომ საბერძნეთის პოლიტიკურ წრეები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს კრიტეს ამბებს. ოფიციოზური გაზეთები ურჩევენ კრიტელ პოლიტიკოსებს არ დაარღვიონ კუნძულის არსებული მდგომარეობა და არ გამოიწვიონ სახელმწიფოები არა სასურველი ზომები იხმარონო.

## ჰაერში ფრენა

**კალე.** შუადღისას, ავიატორი ლესეპსი აფრინდა თავის აპარატით. მშვენიერი ამინდი იყო. ავიატორს განზრახვა ჰქონია გაფრენილიყო [illegible] ინდა ათასი მეტრის სიმაღლეზე.

**დელი.** ავიატორი ლესეპსი გადაფრინდა ლამანშის სრუტეზე. 4 საათსა და 20 წუთზე მშვიდობიანად დაეშვა სან-მარგრიტის ნავთსადგურზე, დელემსსა და დუვრს შუა

**მოსკოვი.** ავიატორი უტოჩკინი რამდენჯერმე გაფრინდა ჰაერში, გადაფრინდა პრესნის ნაწილს, ირგვლივ შემოუარა სოფ. ვსეხსვიატსკის და 9 წუთისა და 36 წამის შემდეგ ძირს დაეშვა. გაფრინდა მგზავრთან ერთად. ჰაერში დაჰყო ორი წუთი და ერთი წამი.

## საზღვარ-გარედ.

**ტოკიო.** გავაის კუნძულებზე გაგზავნილი კერბერგი დაბრუნდა. გადასახლებულ რუსთა საჩივარი უსაფუძვლო გახდა. გადასახლებულთა უმრავლესობა პლანტაციებში მუშაობს, უმცირესობის გაფიცვა გამოწვეულია აგიტატორებისაგან, რომელთა მეთაური ვასილიევი დააპატიმრეს. გაფიცულები შეეცადნენ ვასილიევის განთავისუფლებას, მაგრამ პოლიციამ ისინი მიჰფანტ მოჰფანტა.

**ბერლინი.** გაზეთი „ბრეზენ-კურიერი“ ეხება გერმანიისა და სპარსეთის მდგომარეობას და რუსეთ-ინგლისის საწინააღმდეგო დასკვნას აკეთებს. სპარსეთს აქვს სუვერენიტეტი და გერმანიას უფლება აქვს სპარსეთთან იქონიოს ეკონომიური დამოკიდებულება თანახმად სპარსეთ-გერმანიის ხელშეკრულებებისა. გაზეთს იმედი აქვს, რომ გერმანია წინააღუდგება იმათ, ვისაც სურს ახალი მაროკო და ტუნისი შეჰქმნას და ეცდება ენერგიულად დაიცვას გერმანიის უფლებანი. ამავე აზრისაა „ფრანკფურტ. ცაიტუნგი“, რომელიც ამბობს, რომ მთავრობა დაიცავს გერმანიის მწარმოებელთა ინტერესებს რკინის გზის კონცესიების საქმეში და არას დროს ხელს არ აიღებს სპარსეთის საქმეთა გავლენაზეო.

**ბერლინი.** ზედა პალატამ მეორედ წაკითხვის შემდეგ 127 ხმით, წინაამდეგ 82 ხმისა მიიღო საარჩევნო კანონ-პროექტი.

**პეკინი.** მდ. არგუნზე საზღვრების შესამოწმებლად შემდგარი რუსეთ-ჩინეთის კომისია უკვე წავიდა დანიშნულ ადგილას. მუშაობას შეუდგება 15 მაისს,

### ს პ ა რ ს ე თ ი

[illegible] მისორის ქალი, რომელიც ამ ორი თვის წინად მოიტაცეს და რომლის განთავისუფლებასაც მოითხოვდა რუსეთის ელჩი, ღამე მოიპარა თავის სოფელში. ქურთებმა ამ სოფელს ალყა შემოარტყეს. რუსეთის ელჩის მოთხოვნით გუბერნატორმა რამდენიმე დარაჯი გაგზავნა მათ წინააღმდეგ. დარაჯებმა ვერაფერი გააწყეს. დღეს ამ ქალმა კათოლიკეთა სასულიერო მისსიას შეაფარა თავი.

**თავრიზი.** აქ ხმა გავრცელდა ურმიაში სპარსელები თავს დაეცნენ მართლმადიდებელ სირიელებს, რომელთაგან ზოგი ამოსწყვიტეს და ზოგიც დააპატიმრეს, მაგრამ რუსეთის საელჩოს ცხენოსანთა რაზმმა დაპატიმრებულნი გაანთავისუფლაო. ეს შემთხვევა ამტკიცებს, რომ ნაციონალისტების მიერ დაწყებულმა რუსეთის საწინააღმდეგო მოძრაობამ უკვე ნაყოფი გამოიღო.

### რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** მიწად-მოქმედების მთავარ-სამმართველოს სათათბირომ, რომლის თავმჯდომარედ იყო მიწათ-მოქმედების მინისტრი იგნატიევი— სახელმწიფო სათათბიროს წევრთა მონაწილეობით სასურველადა სცნო დაარსდეს უმაღლესი სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი.

რკინის გზების დეპარტამენტმა განმარტა, რომ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების მოწაფეებს შეუძლიანთ საექსკურსოთ რკინის გზებითა და გემებით მოგზაურობა მესამე კლასის ბილეთის ფასზე 75 პროცენტის დაკლებით.

**ხარბინი.** რუსეთ ჩინეთის კომისიის სხდომები დამთავრდა. კომისიას უნდა შეემუშავებინა სუნგარის მდინარეზე გემების მიმოსვლის წესები, მაგრამ რადგან მთავარ-პრინციპიალურ მუხლებში ვერ შეთანხმდნენ, ამიტომ თათბირი პეკინში იქმნა გადატანილი.

**კრემენჩუგი** კრემენჩუგის სასამართლოს პალატამ გაარჩია კოვლიანსკის გლეხთა კავშირის საქმე. საქმის გარჩევამ სამს დღეს გასტანა. 29 ბრალდებულს მიუსაჯეს ციხეში დაპატიმრება სხვა და სხვა ვადით.

**ჰელსინგფორსი.** სეიმმა ხელ-მეორედ წაკითხვის დროს უარჰყო კანონ-პროექტი კაპიტალებსა და კუპონებზე გადასახადის დაწესებაზე. სენატმა მისწერა ვიბორგის გუბერნატორს გამონახოს ადგილი ვიბორგში პეტრე დიდის ძეგლის დასადგმელად და მართლ-მადიდებელთა ეკკლესიის ასაგებად.

**კიევი.** დიდის ამბით დაასაფლავეს ცნობილი უკრაინელი მწერალი გრინჩენკო. დაკრძალვას დაესწრო მრავალი წარმომადგენელი სხვა და სხვა ქალაქებიდან. მიცვალებულის კუბო დიდძალი გვირგვინით იყო შემკული.

**იშიმი.** უკვე შეუდგნენ რკინის გზის გაყვანის მუშაობას.

**იაკუტსკი.** ზეის ოლქის ოქროს მრეწველებმა თხოვნით მიმართეს ქალაქის გამგეობას დაეხმაროს მთავრობასთან შუამდგომლობაში, რომ იაკუტსკიდან ზეიამდე გაყვანილი იქმნას საეტლო გზა.

### ხ ო ლ ე რ ა

**პოლტავა.** კრემენჩუგში ეკატერინოსლავიდან მოსულ გემზე ერთი ხოლერიანი ავადმყოფი აღმოჩნდა.

**კიევი.** ხოლერით კიდევ ოთხი კაცი გახდა ავად; ჩიგირინის მაზრაში ავად გახდა 10, გარდაიცვალა ხუთი.

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ექვს-კლასიანი პროგიმნაზია გორში.** გორის ოთხ-კლასიანი სავაჭრო პროგიმნაზია კავკ. სამოსწავლო მთავრობის ნებართვით უკვე ექვსკლასიანად გადაკეთდა. ახლად გახსნილ და სხვა კლასებში მისაღები ეგზამენები მოხდება მაისში და აგვისტოში.

✦ **ექსკურსია.** ამ მოკლე ხანში რუსეთიდან კავკავში მიემგზავრება პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტის 30 სტუდენტი. პროფესორთა ხელმძღვანელობით ექსკურსანტები დაათვალიერებენ საქართველოს სამხედრო გზას და ყველა იმ ადგილებს, სადაც ახალი რკინის გზა გაივლის.

✦ **გადასახლებულის შეპყრობა.** 8 მაისს მეოთხე უბანში პოლიციამ შეიპყრო თელავის მაზრის სოფელ კურდღელაურის მცხოვრები მიხეილ დიმიტრის ძე მამუკელაშვილი, რომელიც ადმინისტრატიულად გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნებულიყო.

✦ **ტერორისტის შეპყრობა.** ფეთხანის მთაზე 9 მაისს პოლიციამ შეიპყრო ნოვობაიაზეთის მცხოვრები არშაკ ნიკოლოზის ძე ლალოიანცი. პოლიციის ცნობით მას მრავალი ბოროტ-მოქმედების ჩადენა ბრალდება.

✦ **ექსარხოსის დაბრუნება.** გუშინ საღამოს სიღნაღიდან ტფილისში დაბრუნდა საქართველოს ექსარხოსი.

✦ **ჰაერში ფრენა.** როგორც მკითხველთ უწყიან, მახათის მთიდან ამას წინად ორჯელ გაფრინდა ჰაერში თავის მიერ მოგონილ ბიპლანზე ჰაერში ფრენის მოყვარულთა კავკასიის წრის წევრი ბ-ნი შიუკაშვილი. მესამედ ბ-ნი შიუკაშვილი კვირას, ნაშუადღევს 2 საათზე უნდა გაფრენილიყო. ამ დროს მთაზე ცნობის მოყვარეებმა მოიყარეს თავი, მაგრამ ცუდი ამინდის გამო გაფრენა არ მოხერხდა.

✦ **მშობელთა წრე.** ტფილისის ქართულ გიმნაზიასთან მშობელთა წრე არსდება. მშობელთა წრის საბჭოს წევრთა ასარჩევად და სხვა საქმეების მოსაგვარებლად კვირას, 9 მაისს მეორე კრება იყო დანიშნული, მაგრამ არ შესდგა მშობელთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

✦ **ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება.** 14 მაისს დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდება ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება. განსახილველია მოხსენება კახეთის რკინის გზის შესახებ.

✦ **დაჯარიმება.** ტფილისის გუბერნატორმა პოლიციის მოხელის შეურაცყოფისთვის ტფილისის მცხოვრები მიხეილ ეგაძე 25 მანეთით დააჯარიმა. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთი კვირით დააპატიმრებენ.

✦ **კრება გადაიდო.** 9 მაისისთვის დანიშნული სომეხთა დრამატიულ საზოგადოების კრება, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო არ შესდგა და გადაიდო 16 მაისისთვის.

✦ **ხარჯების აკრება.** ტფილისის გუბერნატორმა მაზრის უფროსებსა და ტფილისის პოლიცმეისტერს სახელმძღვანელოდ ახალი ცირკულიარი დაუგზავნა, რომლის ძალით დაუყოვნებლივ უნდა აეწეროთ მოძრავი ქონება იმათ, ვინც თავის დროზე არ გადაიხდის სახელმწიფო და სხვა გადასახადებსა.

✦ **შუამდგომლობა.** ჩრდილოეთ კავკასიის „ვლადიმერ ალექსეევის“ ამხანაგობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე დასწიოს რკინის გზით ცხვრების გადაყვანის ფასი კავკასიიდგან ციმბირში.

✦ **ჯარიმა.** ტფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ყაზახის მაზრის, სოფელ კულალის მცხოვრები ყაზარ ოჰანესის ძე მაკიანცი ნებადაურთველად „ვინტოვკის“ შენახვისათვის 1.000 მანეთით იქმნა დაჯარიმებული. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, სამი თვით დააპატიმრებენ.

# მხეცი და მხატვარი*)

I

შეპყრობილს ვნებით,
აღგზნებულს ძებნით
მსურს მე სიშმაგე... მსურს ქარიშხალი!
სისხლი არ სცხრება!
ალი არ ჰქრება!.
მსხვერპლს ითხოვს ჩემი სხეული მთვრალი!..
შორს გზიდამ საფრთხევ,
უმწეოთ მახევ!
სიწმიდეს ვუთმობ... ბერთ, საჭური-
და სათნოების სებს!..
მკვახე ზნეობის
უარვყოფ მცნებებს... ყოველგვარ წესებს!
შორს, შორს საზღვრებო,
მიჯნებ-ფარგლებო,
კანონნო მკვდრებო,
სულელთ ფარხმლებო!..
მსურს გაზაფხული,
ჰყვაოდეს გული,
ღელავდეს რგული
შიგ სიყვარული!...
. . . . . . .
შეპყრობილს ნდომით, მქუხარე ვნებით,
გაშმაგებულსა მღგზნებარე ძებნით,
მიწვავდა სულსა და გულსა ალი...
და უცბად ყვავილთ ფშვინვით შობილი,
მთელის არსებით ნანატრ-ხმობილი,
გამომეცხადა... შიშველი ქალი!...
ოჰ, ნეტარებავ!.. წუთო გაგრძელდი!.
სისხლი ტვინს ეცა... უფრო გავხელდი!..
ოჰ, ეს სხეული,
ოჰ, ეს გრძნეული,
ნდობის გოდებით
გამოწვეული!.
ოჰ, ეს თვალები... ღამეზედ შავნი,
მოელვანრენი, ცეცხლის მკვესავნი;
ვნებისა ძილით მაძინებელნი,
მწველ ნეტარების დამპირებელნი.
ოჰ, ეს ტუჩები.. ლბილნი და ცხელნი,
დასაკოცნელნი და შესაჭმელნი,
ნაკურთხნი ტკბილის დამწველის ცოდვით,
სავსენი გრძნობით და სიყვარულის
დამათრობელის, მხურვალე ლოცვით!
ეს ბროლ-ფიქალი... მკერდი ღვთიური...
თვით ყინულშიაც... ცეცხლს ააკვესებს
თვით სიკვდილს ნდომა ამ ქვეყნიური
სისხლს აუდუღებს და ააკვნესებს!
ეს ბროლ ფიქალი.,. აჰ!. მაგრამ კმარა!
ვგრძნობ თავს მენგრევა ცისა კამარა!
თვალთ მიბნელდება!.. ერთი ნახტომი
და ვითა ქურციკს მშიერი ლომი
ჩავჰკიდებ ბრჭყალებს... ამ რკინის ხელებს
ჩავიკრავ მაგრად მღელვარე გულში
და მაგ სხეულში
მაცდურ წყეულში
ჩავიკლავ სურვილს..
გიჟურსა წყურვილს.

II

გულო, დაწყნარდი!.. სისხლო ნუ ღელავ!..
დიადო სულო გაშალე ფრთები,
ყრუ და ბრმა ვნებავ ფეხ ქვეშ ნუ მთელავ;
ღვთის ნაპერწკალო ჩემში ნუ ჰქრები!.
ქალს კვლავ შეხედე... მშვენიერს თვალებს
ამ ქვეყნის გრძნობა არ აელვარებს:
გულში ჩამწდომებს, წყნარ-იდუმალებს
სუნთქვა სქესისა არ ამღელვარებს!
მისი თვალები!.,
ეს ხომ ცა არი,
ცა მოწმენდილი, ლაჟვარდოვანი,
რომლის სივრცეში ჟღერს ოქროს ქნარი
აპოლონისა ფერად-ხმოვანი!
ეს ხომ ზღვა არის მაისის ღამეს
ნიავის ნანით დაძინებული,
რომლის ვერცხლის მკერდს მშვიდს, მოკამკამეს
ჩაჰხუტებია ვარსკვლავთ კრებული!.
ეს—წალკოტია ჰაეროვანი,
სადაც იზრდება, ჰყვავის ოცნება,
სად იფურჩქნება სურნელოვანი
სიყვარულისა დიადი მცნება!..
ბაგენი?!.. ეს ხომ ვარდისა ორი
ოდნავ გაშლილი არის კოკორი,
ბუნების ხელით ქანდაკებული,
ყვავილთ წყაროში ამოვლებული,
ამურის კოცნით გაცოცხლებული!..
მისი გულმკერდი... ბუმბული გედის
ზამთრის თოვლივით თეთრ მშვენიერი,—
მკერდი—გენიოსთ მკვებავის დედის,
ნაზი და ქორფა, მასთან ძლიერი!
მისი გულ მკერდი— წიაღი რბილი,
სადაც პაწაწა და ენა ტკბილი
სუმბუქი, ვითა ნაკადის რული,
ისვენებს ხოლმე ყვავილთა სული, .
მთლად ეს სხეული.,. უბრწყინვალესი
გვირგვინი მძლავრის შემოქმედების!
ქმნილება უცხო, უსაყვარლესი
ცისა და მიწის ყველა ღმერთების!..
თვით სინარნარე, მშვენიერება
ქვეყნად მოსული და ხორცშესხმული..
ტკბილი ოცნება, ლამაზი გრძნება
ყოფნის ღეროზედ ტურფად ასხმული?.
აღფრთოვანების უშრეტი წყარო...
სიკვდილის რგოლში სიცოცხლის ღიმი!
თვის ფერადებით მთელი სამყარო...
ღვთაებრიობის პირველი სიმი!!..
. . . . . . . . . . .
გულ გაწმენდილმა, ამაღლებულმა
ვნების ბურუსი გადავიყარე,,
და იმ ქალის წინ ალტაცებულმა
ლოცვით, კურთხევით მუხლთ მოვიყარე!..

**გ. მაყაშვილი.**

*) წაკითხულ იქმნა 8 მაისს გამართულ სალიტერატურო საღამოზე.

# ბაირახტარი

პატარა ილომ, მკერვლის შვილმა, დედას გამოსთხოვა პატარა წითელი ნაჭერი. საცალა ჯოხის ნატეხი იპოვნა, გათალა, გაასუფთავა, ზედ ლურსმით წითელი ნაჭერი მიაკრა და ის იყო ეზოს კარებში უნდა გიმოსულიყო და საზოგადო მეჯლის შეერთებოდა, რომ თავიანთი მდგმური ივანე დალაქი შეხვდა და ხელი დაუჭირა.

— მოიცა, ბიჭო! სად გარბიხარ, ქუჩაში საშინელი არეულობაა; ვისაც წითელ დროშებს დაუნახავენ, ართმევენ, სცემენ, პირში აფურთხებენ...

— უიმე ქა, რეებს ამობ, ადამიანო!—შეჰყვირა ილოს დედამ მართამ და შვილს მიეკრა:—არ გახვიდე გენაცვალოს დედა და ეგ რაღაც ბაირაღია მიმალე სადმე. რა ხუმრობაა პოლიციელებმა რო დაგიჭირონ!

— რას ამბობ, დედა, რასა! რა პოლიცია, რა დაჭერა! მთელი ქალაქი კირშია, მღერის, თამაშობს, იცინის. ამბობენ, ხელმწიფემ მთელ ქვეყანას თავისუფლება უბოძაო. ყველა კაცი თავის თავის ბატონიაო, რასაც უნდა იმასა იქსო, ოღონდაც სხვას ხელს ნუ შეუშლისო. და განა შენ თითონ არ ხედავ, ამ ორ სამ დღეში რა ამბავია! პოლიციელები კუთხეში მიკრუნჩხულები სდგანან და ხალხის სიხარულს სიხარულით უცქერიან. იქნება იმათაც უნდათ, რომ ასკიკუკუ ითამაშონ, მაგრამ პოლიციელი მარტო იმისთვის არის გაჩენილი, რომ კუთხეში იდგეს და აქეთ იქით თვალები აბრიალოს!

— ჰო, მართალია. ორი სამი დღე სწორედ აგრე იყო, მაგრამ ახლა სხვა არის!—თავის გაქნევით სთქვა დალაქმა. ეხლა პოლიციელები ისევ მგლის ტყავში გეეხვივნენ. მე ჩემის თვალით ვნახე...

„გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს მშრომელ ხალხს!“—მოისმა ქუჩიდან კიჟინი, ხალხის გრიალი და შესწყვიტა ივანეს ამბავი.

სულ ყველანი კარში გავარდნენ ხალხის საცქერლად. ილომ ისარგებლა ამით, დაავლო თავის პატარა ბაირაღს ხელი და კარში გავარდა.

— ილო, შვილო, ბიჭო!—გამოეკიდა მართა თავის შვილს, მაგრამ ის სწრაფად შეერია ხალხის ზღვას, რომელიც მდოვრედ, ხელი-ხელ გადაბმული მიიკლაკნებოდა ქუჩაზედ და თავისუფლების ჰიმნს ჰგალობდა. წითელი ბაირაღები წარწერით: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ ნელა ნელა ფრიალებდა ხალხის თავზედ. ნიკოს წითელი ბაირაღიც მიემატა წითელ თავისუფლების ათას სხვა ნიშანს, ნიკოს პატარა წკრიალა ხმა ათას, გულიდან ამონახეთქს, თავისუფლების გრიალს.

—

შებინდდა, ცოტა ოდნავ ქინქლავს მართა თავის პატარა სახლის ალაყაფის კარებში სდგას და თავით ფეხებამდის თრთის.—ღმერთო ჩემო, ნეტა სად დაიკარგა ი ბიჭი!.. კი არა შეემთხვას რა, იმ უბედურს შვილს! აი დაღამდა კიდეც, იქნება ეხლა მაინც სახლი მოაგონდეს...

— ოჰ, მართა ჯან, რო იცოდე რა ამბავია ქვეყანაზედ; რა ამბავია, გაგიჟდები! თოფით დახოცილებს, ცხენის ფეხებით დაჭყლეტილებს, სულ ფურგუნებით ზიდავენ... მკვდარს, ცოცხალს სულ ერთად ჰყრიან... შიშით წელი მომწყდა... მოვდივარ და ფეხებს ძლივს მოვათრევ... ნეტაი შენა რომ კარში არ იყავი, ის საცოდაობა არა ნახე...

— რა ამბავია, ადამიანო?—კანკალით შეეკითხა მართა თავის მეზობელს მაიას.—რა მკვდრები, რა თოფის სროლა?..

— რა ამბავია? არა გაგიგია რა? ნუ თუ აქამდინ არ მოახწია იმ ხმამ, რო ორი ბრბო ხალხისა, ერთი წითელის ბაირაღებით და მეორე ჭრელით, ერთმანეთს შეეჯახნენ... რომ ჭრელ ბაირაღებიანებს ჯარი მიეშველა... თოფები დაახალეს...

— წითელ ბაირაღებიანებს... თოფები დაახალეს...

შესწივლა მართამ და დატორტმანდა.—ვაიმე, შვილო, შვილოოოო!—და გიჟივით გაიქცა ქუჩაზედ, ქვას ფეხი წამოკრა, წაიქცა, ისევ მალე ადგა და გაიქცა.

ქუჩები ჩაბნელებული, ცარიელი იყო, ჩამი-ჩუმი არსაით ისმოდა, მართას თავისი გულის ძაგა-ძუგი მკაფიოდ ესმოდა.

— გაჩერდი!—ამ სიტყვებით იმას წინ გადაეღობა პოლიციელი და ჩხრეკა დაუწყო.

— ოჰ, რას შვრები, რა გინდა ჩემგან? გამიშვი, შვილი დავკარგე... საით წავიდე, სად მოვძებნო, მე უბედურმა...

— შვილი დაკარგე?! სად იყო? იარაღი ჰქონდა, საბრძოლველად წავიდა?—გაფაციცებით ეკითხებოდა პოლიციელი მართას.

— იარაღი რად უნდოდა, ბალღი იყო, თორმეტი წლისა... ხელში პატარა წითელი დროშა ეჭირა.

— წითელი ბაირაღი?! ჰმ, წითელი ბაირაღი! მაშ წადი ქალაქის სამკურნალოში. წითელი ბაირაღებიანები იქ ბევრი წაიღეს. მართა

**თავის მოწამლვა.** 8 მაისს საღამოთი ანტონოვის ქუჩაზე მცხოვრებმა ალექსანდრე ანდრიას ძე ოსიპოვმა თავის მოკვლის განზრახვით რაღაც სიწამლავი დალია. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. მიზეზი თავის მოწამლვისა გამოურკვეველია.

**უპასპორტონი.** აპრილის განმავლობაში ტფილისში 36 მასიური ჩხრეკა ყოფილა. შეუპყრიათ 488 უპასპორტო. ამავ ხნის განმავლობაში შეუპყრიათ 49 მათხოვარი.

**უპასპორტოთა შეპყრობა.** 8 და 9 მაისს პოლიციამ ქალაქის სხვა და სხვა საპოლიციო უბანში 150-დე უპასპორტო კაცი დააპატიმრა.

**კალია ხასავ-იურტში.** ხასავ-იურტის ოლქში ბევრ ადგილას კალია გაჩენილა. გაიგზავნა აგრანომები კალიასთან საბრძოლველად.

# მოწერილი ამბები

**დ. ხონი.** კუდიან ვარსკვლავის შესახებ ხალხში ათასგვარი ხმები გავრცელდა. უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ ქვეყანა დაიქცეოდა. ქვეყნის დაქცევის შიშით ბევრი ჩავარდა სასოწარკვეთილებაში და ბევრმა სიცოცხლის იმედი დაკარგა. ზოგი კუდიანი ვარსკვლავის მოვლენას იმით ხსნიდა, რომ ღმერთმა ჩვენზედ შური იძია, ძველ ცოდვებს უხდა გვიგონებსო. ზოგი კი ლაპარაკობდა, კუდიანი ვარსკვლავი იმის ნიშანია, რომ თმიანობა იქმნებაო და კიდევ ბევრი ამგვარი რამ ვრცელდებოდა ხალხში. ქვეყნის დაქცევას 5—6 მაისს მოელოდნენ. მართლაც 5 მაის საღამოს ხალხი ახმაურდა. ცაც აღმოსავლეთ დასავლეთით გაწითლდა და ეს საკმაო იყო, რომ ხალხს ეფიქრა ქვეყანა დაიქცევაო. უსათუოდ ცეცხლი მოდის ციდან და ეს გაწითლებაც იმის ნიშანიაო გაისმოდა ხალხში ხმები. მაგრამ არც ცეცხლი მოსულა და არც სხვა რამ. ის ჩვეულებრივი ღრუბელი იყო და ჩვეულებრივათ გაითვანტა ცაში. ხუთ მაისს დამე ბევრმა გაათია. ზოგს ეშინოდა და არ უნდა ქვეყნის დაღუპვას მძინარე დახვედროდა, ზოგიც გულ გამაგრებული სეირს უყურებდა.

—

**სოფ. გრხა ჯიხაიში** გასულ თვეს აქ დაარსდა სამკითხველო, რომლის გამგეებად ამოირჩიეს სამი კაცი. სამკითხველოს საკმაოდ ჭუჭს წიგნები. ამ მოკლე ხანში გრხა ჯიხაიში გაიმართება წარმოდგენა, რომლის შემოსავალი სამკითხველოს მოხმარდება.

—

**სოფ. მათხონჯი** (იმერეთი). ადგილობრივ სამკითხველოს საქმეები მომავალში კარგად წავა, რადგან საკუთარ შენობის აგებას აპირობენ. ადგილი შენობის ასაგებად ადგილობრივმა სამხარაგო მაღაზიამ დაუთმო.

—

**სოფ. დიდი ჯიხაიში.** აქ იციან დღეობა ქაშვეთობა 1 და 2 მაისობით. დღეობას დიდ ძალი ხალხი დაესწრო. სამწუხაროა რომ დღეობას კარგი მხარეები თან და თან სცილდება. სამაგიეროდ ცუდი მხარეები უძლიერდება. თუ წინად დღეობის შინაარს ბურთის თამაში, სიმღერები და ცეკვა შეადგენდა, ეხლა დღეობის შინაარს მხოლოდ ლოთობა და ჩხუბი წარმოადგენს. ამ დღესაც დიდები და პატარები ყველა მთვრალები იყვნენ... **გ. ფახკუნჯი.**

—

**ცხინვალი.** საშინელი უბედურება დატრიალდა ცხინვალში. ამას წინად თავადმა აპოლონ მაჩაბელმა მოჰკლა 22 წლის კაცი, რუისელი გლეხი არჩილა გურასპაშვილი. სრულიად უმიზეზოდ, მოხდა ეს მკვლელობა. „თავადიშვილს" გზიდან ურემი დროზე ვერ ჩამოაცალა არჩილამ, რომელსაც გზაზე უაგრით დატვირთული ურემი მიჰქონდა. ამ დროს ეტლს მოაქროლებდა აპ. მაჩაბელი. „გზა, შე ბრიყვო, შენა"—შეჰყვირა მაჩაბელმა. შეშინებულმა გურასპაშვილმა საქონელი გვერდზე გადირეკა, გზის აქცევა უნდოდა, მაგრამ თავადმა არ აცალა და ტყვია მიახალა ურჩ გლეხს. დამფრთხალმა კამბეჩებმა ურემი გაიტაცეს. გონება დაბნეულმა არჩილამ მაინც გონება მოიკრიბა, ქუდი მოიხადა და შეჰბღავლა—კნიაზო, შენი ჭირიმე, რათა მკლამო", მაგრამ გონება დაბნეულმა ადამიანმა იგი არ შეიბრალა და მეორე ტყვიაც მიაყოლა და შიგ თავში მიარტყა. დიდი ტანჯვის შემდეგ ჯან-დონით აღსავსე არჩილა გურასპაშვილი გამოესალმა წუთისოფელს. ჯერ სრულიად ახალგაზრდა, 22 წლის ვაჟკაცი იყო, დედის ერთა. მოისპო ერთი სიცოცხლე, ატირდა დედა. სოფელს საუკეთესო ჯანსაღი მშრომელი გამოაკლდა. მკვლელი, სინიდის დამშვიდებული, სისხლით დამთვრალი დემონიურათ და ხარხარებს ახლად გაცივებულ გვამს და თავისუფლად დაბრძანდება, ვინ გასცემს ხმას, ვინ მოსთხოვს პასუხს მის „ბრწყინვალებას"...

**ვინმე სანგანიძე.**

# მაისი

კვლავ მიდამო მოიკაზმა...
ბუჩქ-ქვეშ იამ, იამ ნაზმა
ველს ასხურა აიაზმა.

ვიშ! რა უცხო ბუჩქ-ბალია?
მოჰქუხს წყარო გულ-მკერდ ლია...
ყველას ჯილდო მიულია.—

მე კი ვსტირი... ვსტირ ვაებით,
ცრემლ-ნაღველი გესლის გრძნებით
დამყოლია დაბადებით.

არ მსურს ქნარი... სილის ტკეცით
ყვავ-ყორნებსა გადაეცით,
მსურს სამყაროს ვჰვრეტდე ზეცით.

ჩამჩურჩულებს ცელქი სიო:
ბავშვო! კმარა, ნუ ჰკვნესიო,
ხომ დაგვიდგა მაისიო?!.

ახ! ბუნებავ—სიხალისევ,
ნუ თუ ვერ გრძნობ, რომ კვლავ-ისევ,
ბედკრულს, ობოლს ტანჯვას მისევ?!.*)

**ი. გრიშაშვილი.**

*) ეს ლექსი წაკითხულ იქმნა ავტორის მიერ 8 მაისის ლიტერატურულ საღამოზე.

—

**მარტყოფი** (გარედ კახეთი). აღდგომის კვირა აქაურებისათვის უნდა ჩაითვალოს ისტორიულ კვირად. რადგან ამ დღეს სოფლელებმა პირველად ინახულეს „პროჟექტორი" და მოისმინეს „პატეფონი". პროჟექტორის სურათებმა ძალიან აცინეს ხალხი მაგრამ ბ-ნ კაგასაძის ურმულმა პატეფონზე, კიდევ მეტი სიამოვნება და აღფრთოვანება აგრძნობინა ხალხს. ურმულის „პლასტინკა" თითქმის უცვლელად ტრიალებდა პატეფონზე.

ამ აღდგომის კვირიდანვე შეუდგნენ სამკითხველოს მოწყობ-რიგებას და პირველ მაისიდან გაიხსნა კიდეც. სამკითხველოში ჯერ-ჯერობით მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებით შეიძლება სარგებლობა, რადგან წიგნების მოწყობ-რიგების საქმე ჯერ გათავებული არ არის.

29 აპრილს აქ დიდი წვიმა იყო, რასაც აქა-იქ სეტყვა მოჰყვა. სეტყვამ დააზიანა წლის მოსავალი და ღილოს მინდორში ერთი 15 წლის ბიჭი იმსხვერპლა... **უკმაყოფილო.**

# ხევი და მისი ავ-კარგიანობა

წელს ხევ-მთიულეთის ცხვრები ყიზლიარის მიდამოებში ძალიან კარგად გამოიკვება და კარგის ნაშენითა და მატყლით დაბრუნდა საზაფხულოდ შინისკენ. ძნელად ახსოვს ვისმეს, რომ ყველა მეცხვარე ასე ერთნაირად ყოფილიყოს დაკმაყოფილებული ზამთრისგან, როგორც ეს წელს მოხდა. მიზეზი ცხვრების ასე კარგად გამოკვებისა, რასაკვირველია, მეტად კარგი ზამთარი იყო. თუმცა ცხვარი კარგად გადარჩა ზამთარსა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ აქაურის ცხვარ-მეცხვარის არსებობას ხანგრძლივი ბოლო არა აქვს. ჯერ იყო და რაც თერგის ოლქში კერძო მამულები იყო სულ ჩალის ფასად ჩაიგდეს ხელში თავრიჩანის მდიდარმა და მოხერხებულმა მეცხვარეებმა საკუთარი და ბანკის ფულის შემწეობით, ასე, რომ ამ 10—15 წლის წინად საძოვრად მიღებული მამულები 12—15 მანეთად შეისყიდეს ჩერქეზებისა, ყუმუხებისა და სომხებისგანაც-კი. შემდეგ ასტრახანიდან და კიევიდან რუსის გლეხები მოვიდნენ და მათაც სახნავ-სათიბ მიწებში 30 მანეთამდე აძლიეს დესეტინაზე. 1905 წელს მოძრაობის შემდეგ ხომ სადაც-კი ჩვენებური ცხვრები საიჯარადროს დესეტინაზე 20—30 კაპ. იხდიდა ზამთრობით, ის მამულები ზოგი სახნავ-სათიბათ გაიყიდა და ზოგი იჯარით აიღეს სხვა და სხვა გუბერნიებიდან მოსულმა რუსის გლეხებმა, გაიყვანეს მოსარწყავად არხები მდ. თერგიდან და გაშენდა ყველგან ვეებერთელა რუსის სოფლები. ის მამულები, რომელნიც ათი-თხუთმეტის წლის წინად ვერანა ალაგად ითვლებოდა და მეპატრონეს დესეტინა მთელს წელს 40 კაპეიკსაც ძლივს აძლევდა შემოსავალსა, ეხლა უშრომოდ დესეტინა 10 მანეთად იძლევა იჯარით და მიწის დამმუშავებელს ხომ 30—40 მანეთსაც მისცემს. ასე, დღითი-დღე მთის ხალხის ეკონომიური არსებობის წყარო შრება, სიცოცხლის ძაფი სწყდება, ლუკმა პური პირიდან ერთმევა და არავინ არასა ჰფიქრობს ამ დიდმნიშვნელოვანს საქმეზედ. ყველას მოეხსენება, რომ მთას უბაროდ არსებობა არ შეუძლიან და ბარსაც უმთოდ. ისიც ცხადია ყველასთვის, რომ თუში, ფშაველი, მოხევე გუდამაყრელი და მთიული ისეთის მწირის და უნიადაგო მოუსავლიან მამულის შვილნი არიან, რომ სამის თვის საზრდო ქერიც არავის მოსდის და ამ მკვიდრთ ცხოვრების სახსარი ერთად-ერთი ცხვარ-ძროხის მოშენება არის, მთა-ბარობა და ბარიდან სულადის ზიდვა. თუ სამხრეთით შირაქის მინდვრები თუშ-ფშაველებმა დაკარგეს სხვა ტომის ხალხის დასახლებით და აქეთ, ჩრდილოეთით თერგის მიდამოები ხომ დაკარგულია უკვე, მაშინ ცხადია, რომ მთლად მოისპობა საქართველოს მთის მკვიდრთა მეცხვარეობის არსებობა და ამბათ ლა დარჩება, საშვისშვილოთ გადასაცემად, რომ ამ ადგილას ჩვენი მამა-პაპანი და წინაპარნი ცხვარის მოშენებას მისდევდნენო. დიდი უბედურება და აოხრება ატყდება თავს საწყალ მთის მკვიდრთა და მათ მდგომარეობაში არავინ შედის. სულ, რომ არა იყვეს რა, ეგ შირაქი ხომ თიანეთის მაზრის და დუშეთის მაზრის მკვიდრთა უხსოვარ დროიდან დღემდე მამა-პაპეულს საკუთრებას შეადგენდა და იგი იხმარებოდა მუდმივ ცხვრების საძოვრადა.

ყველა ამ ადგილებს ჯერ ყაზახობა დაეპატრონა და ეხლა რაც კი დარჩა იმას სამიწადმომქმედო სამმართველო რუსის გლეხებს ურიგებს. ხასავიურტის მახლობლად ცხრაასი დესეტინა ძაძვიანი სახელმწიფო მიწა ცხრა წლით უმამულო ქართველებს მისცა თერგის ოლქის სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ, ძეძვი გააჩეხინეს, ალაგი გაასუფთავებინეს და როდესაც მიწა ნაყოფიერი გამოდგა ამ სამის წლის წინად მაშინდელმა თერგის ოლქის უფროსმა კოლიუბაკინმა 50 კომლი ქართველები საძირ-ბაგიანად განდევნა და ის შემუშავებული მამული რუსის გლეხებს უთავაზა. როდესაც ლტოლვილი ქართველები ტფილისში ნამესტნიკთან ჩავიდნენ და საჩივარი აღძრეს უსამართლოდ შოპყრობაზე, კოლიუბიაკინმა ასე უპასუხა: ქართველებს თავიანთ მამულიც ბევრი აქვთ დუშეთის მაზრაში და ყიზლიარის მიდამოებში, კარგი ცხვრის ფარებიც ჰყავთ, იჯარითაც ბევრ მამულებს იღებენო და რუსეთის გლეხებს კი უჭირთ მიწაო. (თუმცა იმ განდევნილს 50 კომლს ქართველს ერთი თხაც არავის გააჩნდა, მაგრამ გასჭრა კოლიუბიაკინის მოხსენებამ და საცოდავი ქართველები თავიანთი ცოლშვილით გაიბნენ ზოგი სად და ზოგი სად. დღეს ალაგის სივიწროვისა გამო ხევ-მთიულეთით 300 კომლამდინ შირაქში გადმოსახლდენ, ორას კომლამდინ კავკავში, სადაც დღიურად მუშაობენ, ღარიბად, უსახლ-კაროდ და უმიწოდ. თითო ოროლამ ოს-ქისტებსაც მიმართა იმ პირობით, რომ სჯული უნდა შეიცვალონ და იმათ სოფლებში მიწა მიიღონ...

ზემოთ მოგახსენეთ, რომ თავრიჩნებმა სულ იაფად ჩაიგდეს ხელში მიწები მეთქი; მართალია თავრიჩნები ქართველებზე ბევრით შეძლე არიან, მაგრამ იმათ იმდენი თავისი შეძლებით ვერ შეიძინეს, რამდენიც მეთაურის კაცების ჩარევით და ბანკის ფულებითა, მათ დიდი ხნიდანვე აქვთ საკუთარი ბანკი, ჰყავთ არჩეული მეთაური კაცები, რომელსაც „Комитетъ Кавказскаго овцеводства"-ს უწოდებენ. ამ კომიტეტში მონაწილეობას იღებდა გენერალ ლეიტენანტი თერგის ოლქის უფროსათ ნამყოფი კახანოვი, ბარონ შტენგელი და მრავალი უწარჩინესებულნი და გავლენიანნი პირნი. ეს მეთაური კაცები ყოველთვის მხარში უდგენ და გზის მაჩვენებელნი იყვნენ თავრიჩანებისა, ამიტომაც თერგის და ყუბანის ოლქის საუკეთესო მიწები ხელთ იგდეს და მათი ქონებაც ერთი ათად და ასად გაიზარდა. ჩვენს მეცხვარეს კი არც ბანკი, არც საკუთარი შეძლება, არც გზის მაჩვენებელი კაცი. ჩამორჩა ცხოვრებას და დაჰკარგა საბოლოოდ მიწა-წყალი აწმყოშიც და მომავალშიც. სურვილი რომ ქონდეს და შეძლებაც ხელს უწყობდეს, განა ჩვენს კაცს შეუძლიან საქმის მოგვარება ახლანდელს წეს-წყობილებაში? ვის მიმართოს? ვის რა უთხრას? ვის მიენდოს? ცხადია გაქნილ-გაცვეთილს, მატყუარა, გადამწერლად ნავდებს, გაიძვერას ვისმეს! განა ამისთანები თუ არას გააფუჭებენ რამეს გააკეთებენ? ჩვენებურს მეცხვარეს გული აქვს გატეხილი მატყუარა და გამოცვეთილ მოხელეების ოინების გამო და ეხლა აღარავის ენდობა, თორემ განა ის ბანკი და ის კანონი, რომლითაც რუსეთის გლეხობა ახერხებს აქ მიწაწყლის შეძენას, ჩვენის გლეხისთვის კი არ უნდა არსებობდეს? ნუ თუ ჩვენთვის კარები უნდა იყვეს დახშული კეთილის საქმის დაწყობისთვის? მაგრამ აქ სასაყვედურო [illegible] წავლულ გლეხს-კი არ ეთქმის, არამედ ჩვენს ინტელიგენტებსა და შეძლე პირთ. აქ სოფ. ტყარშეთში სადაც ათ კომლამდე გლეხია, გ. ალ. ყარანგოზიშვილმა შეაძლია გლეხს ოღრო-ჩოღრო და ქვა-კლდიანი ალაგი, რომელიც საძირიანათ 500 მანეთად არა ღირს; მან კი მარტო ზედა პირი ე. ი. მარტო საძოვარი ბალახი 3000 მანეთად დაუფასა, ეხლა ეს გლეხობა ფულსა სესხულობა ერთი მეორისგან ოც პროცენტად, უნდა კომლზე 300 მანეთი გადაუხადონ ყარანგოზიშვილსა, ხოლო ფულის მომცემს 600 მანეთი სარგებელი. სად არის სამართალი და სინიდისი? თვით მთა, რომ საძოვრად გაქირავდეს 60 მანეთზედ მეტს არ მოიტანს. ამასთან მადანი თუ გამოჩნდა, ისიც მებატონეს!

**კალმის-წვერა.**

# თეატრი და ხელოვნება

**ლიტერატ. საღამო.** შაბათს, 8 მაისს ქართულს თეატრში გაიმართა სალიტერატურო საღამო, რომელზედაც თვით ავტორებმა წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოები, ლექსები და მოკლე ესკიზები, ხოლო გომართელმა და რობაქიძემ პატარა ლექციები. წინასწარ გამოცხადებულ პირთაგან სხვა და სხვა მიზეზის გამო საღამოს ადამაშვილი, სვ. ყიფიანი, შ. არაგვისპირელი და კ. აბაშიძე ვერ დაესწრენ.

ასეთი საღამო ჩვენთვის ახალი რამე იყო და დიდს ინტერესს წარმოადგენდა, იმიტომ რომ მას შეეძლო ნათელ-ეყო მაყურებლისათვის თანამედროვე ქართული ლიტერატურის ძირითადი მიმართულება; მაგრამ საუბედუროდ, ამ საღამომ ვერ მოგვცა სრული და დამაკმაყოფილებელი სურათი ჩვენი მწერლობისა, უწინარესს ყოვლისა იმიტომ, რომ მას აკლდნენ იმ გავლენიანი ლიტერატურული მიმართულების წარმომადგენლები, რომელნიც „ჩვენს გაზეთსა" და „სხივში" პოულობენ ბინას.

გ დავიდეთ ეხლა თვით საღამოს შინაარსზე. აღსანიშავია რომ, მონაწილე მგოსანთა და ბელეტრისტთაგან არც ერთს ხეირიანი კითხვა არ შესძლებია. ეს ნაკლი ძლიერ ცუდად მოქმედებდა მაყურებელზე და ინტერეს უკარგავდა წარმოთქმულ ნაწარმოებებისადმი, თუმცა ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით ვაჟას ლექსები, ფორმითაც მშვენიერი იყო და შინაარსითაც მდიდარი. სრულიად უადგილო იყო ახალგაზრდა მგოსნის ი. გრიშაშვილის მიერ სხვათა შორის წაკითხული კინტოური კუპლეტები: „არ შეგცივდეს ბარაშკაჯან". ასეთს ნაწარმოებს მხოლოდ დივერტისმენტში შეიძლება ჰქონდეს ადგილი და არა სერიოზულს ლიტერატურულს საღამოზედ, სადაც ყოველთვის ერთგვარი „სტილი" უნდა დაცულ იქმნას: წინააღმდეგ შემთხვევაში შთაბეჭდილების მთლიანობა ირღვევა. ამაში ბრალი თვით საღამოს გამგეს ბ. რობაქიძეს ედება, რომელსაც არ უნდა ეჩქია ახალგაზრდა მგოსნისათვის ასეთ ლექსიის წაკითხვა.

საღამო გამოახალისეს ლექტორებმა —გომართელმა და რობაქიძემ. პირველმა მოკლედ, მაგრამ ცოცხლად განიხილა, ვახტანგ ორბელიანის პოეზია და ამ განხილვის დროს რამდენიმე მეტად საინტერესო აზრი გამოსთქვა. ერთი აზრი—ეხებოდა გრძნობის და გონების ურთიერთობას ცხოვრებაში და კერძოდ მხატვრულს ნაწარმოებში. ბ. გომართელმა აღნიშნა, რომ მხატვრულ ნაწარმოებში პირველი ადგილი გრძნობას უჭირავს; გრძნობა აშუქებს ნაწარმოებს და სადაც ის არ არის, იქ გონება ვერას იქმს და ნაწარმოებიც მშრალი და უსულო გამოვა. აღსანიშნავია აგრეთვე ბ. გომართლის აზრი, რომ სამშობლოს სიყვარულზედ წერა არც ისე უვარგისი ტემაა მგოსნისათვის, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ.

ლამაზი ფორმის იყო ბ. რობაქიძის ლექციაც შესახებ ელლინურ სულის შოთა რუსთველის „ვეფხის ტყაოსანში".

**№.**

—

კვლავ დატორტმანდა... პოლიციელმა რომ დაინახა მართას ვაება, ცოტა რბილად დაუმატა, იქნება დაჭრილი იყვეს.

— დაჭრილი! დაჭრილი ჩემი პატარა ბიჭი! ვისგან, რად? ვის რა დაუშავა...

— წადი, წადი საავადმყოფოში... მე შენთვის არ მცალიან...

ბევრი იხეტიალა მართამ ჩაბნელებულ ქუჩებში და რის ვაი-ვაგლახით მიაგნო საავადმყოფოს. აუარებელი ხალხი ტრიალებდა ეზოში. ქალი, კაცი, ყმაწვილი, მოხუცებული ერთგვარს მწუხარებით იყო გადარეული. ყველას გულში ცეცხლი ტრიალებდა, ყველა მართასავით თავის დაკარგულ ძვირფას ქმნილებას ეძებდა და თრთოდა რომ მკვდართა შუა არ აღმოჩენილიყო ეს მისთვის ძვირფასი ქმნილება.

თეთრ ბალახონებში გახვეული ექიმები, ფერშლები, სათნოების დები დალალულნი, ქანც გაწყვეტილნი სცდილობდნენ ყველასათვის პასუხი მიეცათ.

მუხლ მოკვეთილი, გაფითრებული, თმებ გაწეწილი მართა საშინელ სანახავს წარმოადგენდა, როდესაც ის მიუახლოვდა ერთ-ერთ „დას" და შეჰბღავლა:—ჩემი შვილი, ჩემი პატარა ილო, წითელ პერანგა ილო აქ არის... ცოცხალია...

— წითელ პერანგა, პატარა ბიჭი?... ჰო... მგონია...

— ჰა, ჰა! რა იცი მითხარი? ოდნავის ჩურჩულით წაიჩურჩულა მართამ და ჩაიკეცა, თმები მაღლა წაუვიდა, თვალები გიჟივით ეწნთო.

„დას" ამ საშინელის მწუხარების დანახვაზედ თვალები ცრემლებით აევსო და პირი მიიბრუნა და დალონებით უთხრა:—უკანა ეზოში წადი, მეც ეხლავე მოვალ.

საავადმყოფოს უკანა ეზო ფარნის ბჟუტავი შუქით ოდნავ იყო განათებული. კედელთან რიგზედ დალაგებული რამდენიმე კაცის გვამი გაარჩია მართამ. მათ შორის ორი ყმაწვილისა იყო. ერთი თოთხმეტ-თხუთმეტ წლის ჭაბუკისა, საბალოსნო სკოლის ფორმით და მეორე წითელ პერანგა, პატარა ილოსი... დედა ფორთხვით მიცოცდა პატარასთან და შვილის გულზედ უგონოდ დაეცა. გარშემო არავინ იყო, რომ იმისთვის ნუგეში ეცა, მოეხრუნებინა... ეზოს კარებში პოლიციელი გაშეშებულივით იდგა და გარშემო მას სრულიად არ აინტერესებდა. მართა მალე მოვიდა გონს, გიჟივით თავი მაღლა აიღო, აქეთ-იქით მიიხედმოიხედა და ისევ ილოს მკერდს დაეყრდნო... სმენად გადაიქცა. დედის გული გაჩერდა, სული შეუგუბდა, ტვინის ძარღვები უკანასკნელ წერტილამდე დაეჭიმა... უცემს... უცემს... გული უცემს... ჩურჩულობდა მართა, არ მეჩვენება??, ნამდვილად სცემს... ნელა, ნელა... ოდნავ... მაგრამ კი უცემს...

— რას ტუტუნებ? ადექი. ღმერთი განუგეშებს! დაუწყო წევა და ცრემლებით სავსე ხმით ნუგეში სცა ყმაწვილმა დამ სათნოებისამ, რომელიც მართას დაპირებისამებრ, მალე უკან დაედევნა.

— გული უცემს... უცემს... კვლავ ამოიჩურჩულა მართამ.

— შე საწყალო! რა საფიქრებელია! დილას უკანია უნძრევლად სძევს... ადექი, გენაცვალე... ოთახში უნდა შეასვენონ.

მართა კი შვილის გულს ყურს არ აშორებდა. უცემს... უცემს... კიდევ წაიჩურჩულა იმან და იმედით სავსე თვალები ყმაწვილ ქალს მიაპყრო.—უშველე... ჩქარა... ჩქარა... სიცოცხლე არ ჩაქრეს, ოდნავ ბჟუტავს...

ქალი მხოლოდ ეხლა დარწმუნდა, რომ მართას შეშლილობით არ მოსდის და სწრაფლად დაიჩოქა, ყური დაადო პატარა მკერდს, საიდგანაც ოდნავ, მაგრამ მკაფიოდ მოისმოდა გულის ძგერა. ის საჩქაროდ წამოხტა და ექიმის მოსაყვანად გაეშურა. მართა კი მათ მოლოდინში გაქვავებულივით ეგდო და შვილის ძვირფასს სახეს თვალს არ აშორებდა.

თითქოს დედის თვალის ელექტრონის ძლიერებით ილომ ქუთუთოები ოდნავ ასწია და ნაზის, როგორც ცთერის მოძრაობა, გაიღიმა.

— შვილო! შვილო... ო... ო!.. ისეთის ძლიერებით შეჰკივლა მართამ, რომ ამ სიკვდილის და ვაების მიდამოში მეორედ მოსვლის საყვირის ხმათ გაისმა და წამზედ მიყუჩებული ეზო ხალხით აივსო.

გავიდა ორი კვირა. მშვენიერი მყუდრო შემოდგომის დღე იყო. საავადმყოფოს დიდ ფანჯრებში შუადღის მზის სხივები უხვად შედიოდა და ანათებდა რიგზედ მდგომ რამდენსამე საწოლს; ერთ მათგანზედ გულ აღმა იწვა მართა, თმებგაკრეჭილი, გამხდარი, მკვდრის ფერით სახეზედ, მაგრამ მოღიმარი, როგორც სიკვდილის პირიდან წავარდნილი, ადამიანი.

— შენ ეხლა კარგათა ხარ. მალე შინ წასვლასაც შესძლებ. ეუბნეოდა ტკბილად, ჩვენი ნაცნობი სათნოების და.—მხოლოდ, უთუოდ, დღეში ორი კვერცხი უნდა სჭამო და ორი სტაქანი რძე დალიო.

— ილოს მიჩვენებთ?—ოდნავ წამოიკნავლა ავადმყოფმა.

— დიახ, მხოლოდ მაშინ, როდესაც სრულად განიკურნები. აღელვება არ შეგიძლიან.

— ჩემი განკურნება ილოს ნახვაზეა დამოკიდებული...

— და ილოს ნახვა კი შენ განკურნებაზედ. კიდევ უთხრა ყმაწვილმა ქალმა.

მთელი ათი დღე მართას სიცოცხლე ძაფზედ ეკიდა. უძლიერესმა აღელვებამ ტვინის ანთება გამოიწვია.

ილო კი მალე გამოცოცხლდა, მისმა ყმაწვილმა, ძრიელმა სისხლმა ადვილად შეისრულა თავისი დანთხეული ნაწილები. კარგმა მოვლამ, რიგიანმა საჭმელმა ხელი შეუწყო და დედის ძრიელის მწუხარებით გაღვიძებული მისი მომაკვდავი გული კვლავ მძლავრად ათამაშდა. მხოლოდ ლამაზი ბიჭი სამუდამოდ დასახიჩრებული დარჩა. ის მარჯვენა, რომლითაც, წითელ ბაირაღს აფრიალებდა, მტრის ხელით მოტეხილი აღმოჩნდა და ექიმებმა მოჰკვეთეს.

და სწორეთ ეს სიმახინჯე იყო მიზეზი, რომ ჯერ ძალზედ სუსტს დედას, მკვდრეთით აღდგენილ შვილს არ უჩვენებდნენ.

**ეკ. გაბაშვილისა.**

**სახალხო სახლი.** კვირას, 9 მაისს, „წრის“ სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ოსტროვსკის კომედია „შემოსავლიანი ადგილი“. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. თითქმის ყოველ წვრილმანს ეტყობოდა რეჟისორის ხელი. კარგები იყვნენ გოცირიძე, გაბუნია-ცაგარლისა, თ. გოგოლაშვილი, ანაშვილი და ჰეპანოვი. ხალხი საკმაოდ დაესწრო.

## კრიტეს საკითხი

„ტაიმსმა“ მოწინავე წერილი უძღვნა კრიტეს საკითხს. გაზეთი მეტად სასტკიადა ჰკიცხავს ევროპის დიპლომატიას და კერძოდ დამხმარე სახელმწიფოებს, რომელთა წინდაუხედაობამ და ორპირმა ტაქტიკამ ასე გაამწვავა საქმეო. ევროპის ცეცხლის საქრობი მანქანები სავალალო მდგომარეობაში არიან. ვისაც უნდა გაეცნოს თანამედროვე დიპლომატიას, იმან უნდა თვალი გადაავლოს კუნძულ კრიტის ათი წლის ისტორიას. წინდაუხედაობა, ორპირობა, გაუგებრობა, სიმხდალე ორაზროვნობა—აი, დამახასიათებელი თვისებანი ევროპის დიპლომატიისაო.

კრიტეს საკითხზე ზოგიერთი დამხმარე სახელმწიფოთა წარმომადგენელს მოულაპარაკნია და გამორკვეულა, რომ დამხმარე სახელმწიფოებს გადაწყვეტილი აქვთ ჯარი არავის გადააყვანინონ კრიტზე. თუ კრიტის დროებით მთავრობა წინააღუდგება მაჰმადიან დეპუტატების კრიტის ეროვნულ კრებაზე დასწრებას, სახელმწიფოები თავიანთ ესკადრას შემოარტყავენ კუნძულს. აქვე იქნება ოსმალეთის ესკადრაც. ოსმალეთში კრიტეს საკითხი მთავარ სალაპარაკო საგნად არის გადაქცეული. პარლამენტმა ხელმეორედ ექონია თათბირი ამ საკითხზე. ხალხში ვითარდება საბერძნეთისადმი სიძულვილი. მიუხედავად ამისა, მთავრობა მაინც კრიტეს საკითხის გამწვავებას საბერძნეთს არ უკავშირებს. მაკედონელმა დეპუტატმა ბასრი-ბეიმ განაცხადა, ოსმალეთის მთავრობა ხალხის ხმას რამედ აგდებს, უნდა გაგზავნოს ესკადრა კრიტეს კუნძულზე; ხოლო ხმელეთის ჯარი საბერძნეთის საზღვარზეო. ესად-ეფენდიმ, ბეირუთელმა დეპუტატმა განაცხადა, სრულიად უსარგებლოა საპროტესტო მიტინგების გამართვა. მთავრობამ ენერგიული ზომები უნდა მიიღოს კრიტისა და საბერძნეთის წინააღმდეგაო. შინაგან საქმეთა მინისტრმა პასუხი გასცა ორატორებს და სთქვა, საბერძნეთს ამ საკითხთან კავშირი არა აქვსო. ოსმალეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ დამხმარე სახელმწიფოები ოსმალეთის უკანასკნელ ნოტაზე სასურველ პასუხს გაგვცემენო.

მთავრობამ ბრძანება დაუგზავნა პროვინციის მმართველთ, რომ მიტინგებზე ორატორებს უფლებას ნუ მისცემენ საბერძნეთის წინააღმდეგ ილაპარაკონ და პროტესტი გამოაცხადონ. საზოგადოთ ამ სახელმწიფოს მიმართ არავითარ შეურაცხყოფას ადგილი არა ჰქონდესო. ამ ცირკულიარის პირი გაგზავნეს ათინაში საბერძნეთის მთავრობასთან წარსადგენად.

## რუსეთი

**კიევის უნივერსიტეტში.** „კასპ“, პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: კიევის უნივერსიტეტიდან ითხოვენ ცხრა ას სტუდენტს. ყველა ამათ სწავლის ფული არ შეუტანიათ. დასათხოვ სტუდენტების უმრავლესობას ჯარში გაიყვანენო.

**სახელმწიფო სათათბიროში.** ამ რამდენიმე ხნის წინად მთავრობამ სახელმწიფო სათათბიროში კანონ-პროექტი შეიტანა და ჟანდარმთა სამართველოების გასაძლიერებლად **260,000** მანეთი მოითხოვა. მთავრობა თავის მოთხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ რუსეთში რევოლიუცია და საჭირო ძალების გაძლიერებაო. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით ეს კანონ-პროექტი განუხილავს სახელმწიფო სათათბიროს კომისიას და არ შეუწყნარებია მთავრობის თხოვნა. კომისიის აზრით რუსეთში მშვიდობიანობაა.

**ფინლიანდიის საკითხი.** სახელმწიფო საბჭოს მემარჯვენე წევრს თავად ლივენს მემარჯვენეების ფრაქციაში განცხადება შეუტანია, არ შემიძლიან ფინლიანდიის საკითხში მხარი დაუჭირო ფრაქციას, რადგან საერთო საიმპერიო კანონ პროექტი ფინლიანდიის კონსტიტუციას არღვევსო. ლივენის აზრით სახელმწიფო სათათბიროს უფლება არა აქვს ფინლიანდიის საქმები მოაწესრიგოს.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: პეტერბურგში 2, ხარკოვში 3, უფაში 1, სევასტოპოლში 3, ტომსკში 1, ოდესაში 1, ვარშავაში 2 კაცს: სიკვდილით დასაჯეს: მოსკოვში 1, პეტერბურგში 1, ხარკოვში 2, ოდესაში 2, სევასტოპოლში 2 კაცი.

**სტუდენტის უსატოვის საქმე.** ამ დღეებში მოსკოვის სამხედრო სასამართლომ გაარჩია ადგილობრივ უნივერსიტეტის სტუდენტის უსატოვის საქმე. ბრალდებოდა არტისტ-ქალის შორნიკოვის გაცარცვა, სასამართლომ უსატოვს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ამავე სასამართლომ გაარჩია რუენიშევსკის საქმე. ბრალდებოდა უსატოვის დამალვა. რუენიშევსკის უვადო კატორგა გადაუწყვიტეს.

**სროლა და სახლის დაწვა.** „ბაკუ“-ს ალექსანდროვსკიდან დეპეშით ატყობინებენ: სოფელ გულიაპოლეში პოლიცია დაედევნა ანარქისტ სემენიუტას. ამ უკანასკნელმა თავი შეაფარა ერთ სახლს. პოლიციას 7 საათის განმავლობაში სროლა არ შეუწყვეტია, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს გადასწყვიტეს ცეცხლი წაეკიდებინათ სახლისთვის. სახლს ნავთი დაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. სემენიუტამ, რაკი დაინახა რომ საშველი არა ჰქონდა, თავი მოიკლა, მისი საყვარელი კი დასწვეს.

**სახელმწიფო საბჭოს ცენტრი** გაზეთი „რეჩი“ იუწყება: სახელმწიფო საბჭოს ცენტრს დიდი ხიფათი მოელის. ფრაქციის უკანასკნელ სხდომაზე ფრაქციის თავჯდომარემ ტრუბეცკაიმ აღიარა ეს და მოითხოვა, რომ ფრაქციის წევრებს შეემუშავებინათ რაიმე განსაზღვრული პროგრამა და ხელი მოეწერათ ამ პროგრამაზე.

**შუამდგომლობა.** ხარკოვის ქალთა კერძო კურსების მსმენელ-ქალებს შუამდგომლობა აღუძრავთ ხარკოვის საექიმო საზოგადოების წინაშე, რომ ხარკოვში გაიხსნას ქალთა საექიმო კურსები. იმედი აქვთ, რომ ამ შუამდგომლობას მხარს დაუჭერენ ერობები და ქალაქი.

**1 მაისი პეტერბურგში.** 27 აპრილს „დამცვ. განყოფ.“ პეტერბურგში დაუჭერია დიდი ტრანსპორტი პირველ მაისის პროკლამაციებისა, რომელის შესახებ, „ზემშჩინას“ სიტყვით, პოლიციას გამოურკვევია, რომ ის არ ყოფილა ადგილობრივ დამზადებული. 3 აპრილს „დამცვ. განყ.“ აგენტებს ნოვგოროდის გუბერნიაში, ბოროვიჩში, აღმოუჩენია კარგად მოწყობილი საიდუმლო სტამბა. პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა და მასთან ერთად ბევრი ახლად დაბეჭდილი სამაისო პროკლამაცია. სტამბაში დაჭერილი პირები გადაიცა პეტერბურგის საგუბერნიო ჟანდარმთა სამართველოს განკარგულებაში. პირველს მაისს პეტერბურგის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა შორის გავრცელებულ იქმნა პროკლამაციათა განსაზღვრული რიცხვი სოციალდემოკრატების ჯგუფის ხელმოწერით.

**განხეთქილება ჭეშმარიტ რუსთა კავშირში.** როგორც ვიცით ჭეშმარიტ რუსთა შორის ამ ბოლო დროს უთანხმოებამ იჩინა თავი. უთანხმოების უმთავრესი საგანი ცალკე მონარქიულ ორგანიზაციათა ავტონომია უნდა ჩაითვალოს. დუბროვინი უკიდურესი ცენტრალისტია და ითხოვს, რომ ეს ორგანიზაციები სრულიად დაემქვემდებაროს მთავარს კავშირს. მოწინააღმდეგენი კი, განსაკუთრებით გრაფი კონიენიც ნი, რომელსაც ეხლა დუბროვინის ადგილი უჭირავს, იმ აზრისაა რომ თვითეულ მონარქიული ორგანიზაცია დამოუკიდებლად უნდა მუშაობდეს და მხოლოდ კავშირის საზოგადო პროგრამმას ეთანხმებოდეს. ამ უკანასკნელის მხარეზეა უმრავლესობა. მთავარი კავშირის ქაღალდებს და ბრძანებათ ეხლა გრაფი კონოვნიცონი აწერს ხელს, მიტომ რომ სენატორმა რიმსკი იკორსაკოვმა, რომელიც თავჯდომარედ იყო არჩეული უარი სთქვა თანამდებობაზე, სხვათა შორის იმიტომ რომ მას სხვა სენატორებმა ჩააგონეს რომ სენატორის ხარისხი არ შეესაბამება ისეთი პოლიტიკური პარტიის თ-ვმჯდომარეს როგორიცაა რუსის ხალხის კავშირი. ამ დღეებში. „რეჩის“ სიტყვით ელიან რომ რიმსკი-კორსაკოვი ფორმალურადაც უარს იტყვის და გრაფი კონოვნიცინი საბოლოოდ დამკვიდრდება თავის პოსტზე.

**ხოლერა.** რუსეთში კვლავ გაძლიერდა ხოლერა. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით ეკატერინოსლავის გუბერნიაში დღე-ღამეში რამდენიმე ათი კაცი ხდება ავად ამ საშინელ სენით. ეშინიანთ, რომ ხოლერა მეზობელ გუბერნიებშიაც გავრცელდეს.

## წერილი რედ. მიმართ

**(ქ-ნ ანნა გორგასლიძის საპასუხოდ)**

წავიკითხე „მათრახ სალამურის“ მე-15 ნომერში მოთავსებული წერილი ქ-ნი ანა გორგასლიძისა. მას უკისრია თავისი მეუღლის, „ცნობილი“ გორგასლიძის, ვექილობა. მტყუანის დაცვა მხოლოდ ტყუილებით შეიძლება და ქ-ნი ანნაც, როგორც ერთგული „მეუღლე“, აღარა ზოგავს თავის ძალღონეს.

ქ-ნ ანნა გორგასლიძის სიტყვით მე ვყოფილვარ გაბედნიერებული ბ. ექვთიმე გორგასლიძის მიერ რომლისაც ვითომ და დიდი შრომა და ჯაფა მიუღია სამოქალაქო სასწავლებელში ჩემს მასწავლებლად დანიშვნაზე. არც ამდენად უმადური კაცი ვარ, რომ ასეთ პროტექტორს, როგორსაც გვიხატავს ბ. ექვთიმეს მისი მეუღლე, მადლობა არ გადავუხადო, რომ ყოველივე ეს სიმართლეს მოკლებული და მოჭორილი არ იყოს. ამიტომ იძულებული გავხდი აშკარად გამოვაცხადო რომ მე ამ ადგილზე დანიშნული ვარ პირდაპირ სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ნამყოფის ბ. ზავადსკის განკარგულებით. იმ დროს მე უადგილოთ ვიყავი, რადგან ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ის კლასი, რომელშიაც მასწავლებლად ვიყავი დაიხურა და შტატს გარეშე დავრჩი; კანონის ძალით ვითვლებოდი სასულიერო სამოსწავლო უწყებაში პირველ კანდიდატად მაგრამ, რომ დიდხანს უადგილოთ არ დავრჩენილიყავი, ბ. ზავადსკის თხოვნა გავუგზავნე, რათა საღმრთო სჯულის მასწავლებლის ადგილი მოეცა ჩემთვის ერთ-ერთ საშუალო სასწავლებელში. იმანაც აღმითქვა ჩემი თხოვნის შესრულება ახლო მომავალში. სწორედ ამ დროს ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში დაიცალა საღმრთო სჯულის მასწავლებლის ადგილი და სამასწავლო ოლქის უფროსმა უბრძანა გორგასლიძეს, რომ მას მივეწვიე მე აღნიშნულ ადგილზე. ბ. გორგასლიძემ მთხოვა დავთანხმებულიყავ მზრუნველის წინადადებაზე, მაგრამ მე პირველად უარი განვუცხადე, რადგან ჯამაგირი მხოლოდ 27 მ. და 50 კაპიკი იყო, რაც ჩემთვის ხელსაყრელი არ იყო მით უმეტეს, რომ ამ მცირე ადგილზე გადასვლით სასულიერო სამოსწავლო უწყებაში ვკარგავდი პირველი კანდიდატურის უფლებას. დავთანხმდი მხოლოდ მაშინ, როცა ბ. მზრუნველმა აღმითქვა მოკლე დროში ამ ადგილიდან საშუალო სასწავლებელში გადაყვანა. ყოველივე ამას ამტკიცებს ჩემი განცხადების (რომელიც გორგასლიძეს მივეცი) შინაარსი, გურჩევ ქ-ნ ანნა გორგასლიძისას ეს ქაღალდი ან მისი პირი მოსთხოვოს ბ. ექვთიმეს. რომელიც, იმედია, წაუკითხავს და გადაუთარგმნის განცხადების შემდეგ სიტყვებს: „На основанiи предложенiя Его Превосходительства, г. Попечителя К. Уч. Округа я изъявляю Свое согласiе временно занять“... და სხვა ცხადია წინააღმდეგ ქ-ნი ანნა გორგასლიძის რწმუნებისა მის კლიენტს, ბ. ექვთ- გორგასლიძეს, ჩემს დანიშვნაზე ერთი წვეთი ოფლიც არ დაუღვრია. ასე მოკლე ფეხები აბია ქ ნო ანა, ტყუილებს!

რაც შეეხება ქ. ანა გორგასლიძის წერილის იმ ნაწილს, ვითომ მე „ცბიერებით“ შეცდომაში შემეყვანოს მთელი კოლეგიალური დაწესებულება, ამის შესახებ არა მაქვს უფლება პასუხი გავსცე, რადგან ჩემს პირად შეურაცხყოფას აქ ერთვის მთელი მასწავლებელთა კოლეგიას მძიმე და პასუხის მგებლო შეურაცხყოფაც.

**მღ. მელიტონ ქავჯარაძე.**

---

22 აპრილს გაიმართა სამკითხველოს სასარგებლოდ „პროჟექტორის“ წარმოდგენა, რომლის წმინდა შემოსავალი იყო 25 მანეთი, აქედან 5 მანეთი მიეცა პროჟექტორს, ხარჯების დასაფარავად. დარჩა წმინდა შემოსავალი ორი თუმანი (20 მან.).

ჩვენ თავს მოვალედ ვრაცხთ, მადლობა ვუძღვნათ ლავრენტი სამქუაშვლის, მატვეი სოვოკაიტის, მავსეს ოვანესიანცს და სხვებს, რადგან მათ არ დაიშურეს თავიანთი შრომა და მეცადინეობა ჩვენი სოფლის სასარგებლოდ.

სოფ. მარტყოფ. წიგნთ-საცავ-სამკითხველოს **გამგეობა.**


## განცხადებანი

### დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1¼ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(10—6.—5)




ПРЕДОСТЕРЕЖЕНИЕ
სტორად გავრცელდა ფეხსაცმლების კრემი „ბრისტოლი“, ამის გამო ბევრ სიყალბეს ხვდებიან.
**ყურადღება!**
ნამდვილია მხოლოდ № 4870
**ალბერტ ზაქსი**
კანტორა: СПБ. Англ. пр. 46 ტელეფ. 3 1—07. მაღაზია: ყ ანისა 6. ტელეფ. 264—92

(Мецль и К. N 42944.)

**ივანე ზაქ. ტერ-სტეფანოვის უფლებიანი**

### სავაჭრო სკოლა

მისაღები ეგზამენები მოხდება 26 მაისიდან 3 ივნისამდე. სწავლის ფული ქალთათვის 25 პროცენტით ნაკლებია. მიხეილის პროსპ. N 16—18. (2—გაყ.—1)



### მოითხოვეთ სწორი და გამძლე საათები!

**ნუ გამოეკიდებით სხვა იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის შესაფერი ფასი აქვს. პარიზის უკანასკნელი სიტყვა.**

260 მანეთიან ოქროს საათების ნაცვლად ვურჩევთ შეიძინონ კაცის საათი. დაზურული სამ-ხუფიანი **„სეცესია“**, რომელსაც ისეთი გარეგნული სახე აქვს, კარგად მუშაობს, რადგან ელექტრონის საშუალებით 14 პროცენტიანი ოქრო აქვს გადაკრული. ამ საათის მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიისა არის, წკრიალა ხმა, 15 ქვიანი, მომართვა ყურიდან ყოველ 40 საათში ერთხელ. ეს საათები ნამდვილ ახალ ოქროსია. კარგი ღირსებისათვის საათები დაჯილდოვებულია ოქროს მედლებითა და სხვა ნიშნებით. ფასი 5 მ. 25 კ., 2 ცალი 10 მ., 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც ამ საათს ნახავს რწმუნდება, რომ ის 250 მ. ღირს. მსურველს გაეგზავნება წუთით-წუ იამდე სწორე საათი. სრული პასუხის მგებლობა ლითონის ღირსებისათვის და საათის სწორე მუშაობისათვის 6 წლის განმავლობაში. საათები გაიგზავნება ფასდადებით და უბეოთაც. თუ საათი **არ მოეწონებათ, ფულს უკან ვაბრუნებ** გაგზავნა 40 კ. (ციმბირში 75 კ.). საათის გამომწერელს **უფასოდ** ეგზავნება მშვენიერი კოხტა მეწკვი ახალი ოქროსი, ბრელოკით და ზამშის ბუდე საათის შესანახად. ადრესი:

Экспортн. домъ И. Штрумфельдъ, Варшава, Св. Креста 48 отд. 12.

ადრესი გთხოვთ ამოხჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.
Мецль и К-о N 34140, (4—6.—1)

### ყ ვ ე ლ ა მ,

ვისაც სურს გააკეთოს რაიმე სავაჭრო ან სხვა საქმე თავისავე ინტერესების სასარგებლოდ, წინ და წინვე უნდა შეიხედოს ნამესტნიკის მიერ ნება დართულ კავკასიაში ერთად-ერთ

## სავაჭრო-სამრეწველო ბიუროში ი. ფონ-ბრენერისა.

**სერგეევის ქ. № 4.**

იქ იგი მიიღებს სინდისიერ და საქმიან რჩევას, საჭირო ცნობას და სხვას. იქვე დროს დაუკარგველად შეიძლება მოგვარება ყოველგვარ საქმისა, დაწერა ხელშეკრულებისა, კონტრაქტისა, შედგენა ხარჯთ-აღრიცხვისა, პროექტებისა, შენობათა გეგმებისა, შემოწმება საანგარიშო წიგნებისა, გადათარგმნა სხვა-და-სხვა ენებზე საბუთის ქაღალდებისა, შედგენა წერილებისა და სხვა, თანაც შეუძლიან ხსენებული ბიუროთი ისე ისარგებლოს, როგორც თავის საკუთარ კაბინეტით. კანტორა სულ მცირე ფასს იღებს.

გამოცდილი მოსამსახურეები. საკომერციო საიდუმლოს სასტიკად დაცვა. (10—ლგ.—5)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა

## „როზა“

(„ვარდი“)

ტფილისი, ურჩბნის შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.

**საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან.** (100—ტ.—11)

### ამხანაგობა „ოუქანეს“ ბაღი და რესტორანი

ქართ. თავად-აზნ. ადგილობრივ საზაფხულო თეატრთან. შესავალი მარჯვენა მხრიდან, გალერეიდან. ყოველ დღე დღისით 2 ნახ. ს. 5-ის ნახ. ს. და საღამოთი 9-ის ნახ. ს. ღამის 2-ის ნახ. ს. უკრავს ვენის ცნობილი ავსტრიიდან მოსული საკონცერტო სიმებიანი

**ქ ა ლ ე ბ ი ს ო რ კ ე ს ტ რ ი**

ქ-ნ პეშლის გამგეობით.

**სადილი და ვახშამი**

სადილი 1 საათ. ნაშუადღევის 5 საათამდის.
2 თავი საჭმელი 50 კაპ., 3 თავი 75 კაპ., 4 თავი 1 მან. სადილს იძლევიან სახლში წასაღებადაც.

**საჭმელები ადგილობრივი და ევროპიული.**

რესტორანში არის სამი სრულიად ახალი **ბილიარდი და ნარდი.**

არის აგრეთვე კაბინეტებიც. მიიღება შეკვეთა საქორწილო წვეულებებზე, პიკნიკებზე, სადილებზე, ვახშმებზე, რამდენ კაცზედაც უნდა იყოს. არის მოხარდ ხეხული როტონდა ნადიმებისათვის და აგრეთვე ახლილი ადგილი დიდ კაკლის ხის ქვეშ. აძლევენ ქირით სადილის სერვიზს. ტელეფონი № 812. ბაღში შესვლა უფასოა (10—ხალ.—5)

ხვალ 12 მაისს მიხეილის პროსპექტზე, ლიუტერანთა ეკლესიის გვერდით ახლად აშენებულ შენობაში გაიხსნება

# პ. ს. დოროშნოვის

## იაროსლავის მაღაზია.

### განცხადება

მ. ბ.

მაქვს პატივი ამით გაუწყოთ, რომ ამ მაღაზიისათვის დამზადებულია დიდძალი სეზონის საქონელი—შალეული, მაუდი, ბამბეული, საზაფხულო წმინდა ქსოვილები და სხვა. მაგრამ, რადგან სეზონის დაწყებამდე მაღაზიის გახსნა შეგვიანდა შენობის შიგნით ნაწილის დამზადების გამო და რადგან ეს სეზონი უკვე მიიწურა, სეზონის საქონლის კარგად გასაღებისათვის ვაუწყებთ პატივცემულ მყიდველთ, რომ პირველ ხანებში მთელ მაისის თვის განმავლობაში სეზონისა და სხვა საქონელი მეტად იაფ ფასებში გაიყიდება.

გაიყიდება ყველა დასახელებული საქონელი ცხრა სპეციალურ განყოფილებისა. დამზადებულია დიდძალი კუპონები განსაკუთრებულ ეტიკეტებით. ამასთან თქვენს ყურადღებას მივაქცევ საქონლის მეტად დიდ სიიაფეს. ყველა განყოფილების ვიტრინებში დაწყობილია საქონელი გაიაფებულ ფასის ზეწარწერით.

(1—ხალ.—1) **პ. დოროშნოვი.**


სტამბა „გუტენბერგი“, ოლღას და სლეპცოვის ქ. კუთხ., № 1. რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა.